აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომა

ოქმი №3

ქ. ბათუმი 28.05.2004 წ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცება.
2. უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდების სახეების განსაზღვრა.
3. რეგისტრირებული პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნის ბოლო ვადის გადაწევის შესახებ.
4. სხვადასხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა. კომისიის წევრები: სიმონ ჩხაიძე, გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, ლევან ჩავლეიშვილი, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს დაურიგდათ აჭარის არ უმაღლესი საბჭოს 2004 წლის არჩევნების პარტიის/ბლოკის წარმომადგენელის ფორმა №ბ-3.02.02 დასამტკიცებლად. აღნიშნულ ფორმასთან დაკავშირებით შენიშვნა გამოთქვა კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ. მან აღნიშნა, რომ სასურველია ბეჭდის ადგილის გადმონაცვლება სურათთან ახლოს, რასაც დაეთანხმა სხდომის დანარჩენი წევრები.

აღნიშნულ საკითხს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის და საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდების სახეების განსაზღვრას, კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ კომისიის წევრებს წარუდგინა დასამტკიცებელი ბეჭდების ნიმუშები. კერძოდ, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბეჭდის ნიმუში ოვალური ფორმით, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი მრგვალი ფორმით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა ან სხვა მოსაზრება არ გამოთქმულა.

წარმოდგენილ საკითხს ეყარა კენჭი და იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრირებული პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნის ბოლო ვადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განსაზღვრული იყო 2004 წლის 30 მაისი. კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვჭირდება დამატებითი კონსულტაციები, თან 29-30 დასვენების დღეებია, ამიტომ უპრიანი იქნებოდა ამ ვადის გადაწევა 31 მაისამდე. შეთავაზებული წინადადება მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ, ეყარა კენჭი და ერთხმად იქნა მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე